სამშობლო

შაბათი
10 ოქტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მომწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 195 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 195

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

კნეინა მარიამ კონსტანტინე დადეშქელიანის ასული დადიანისა, თ-დი ჯაბე დავითის ძე დადიანი; კნეინა ნინო კონსტანტინე დადეშქელიანის ასული წერეთლისა, თ-დნი კონსტანტინე, სანდრო და ანდრო იასონის ძენი წულუკიძეები, ფილდოსია ქუთათელაძისა და აგრაფინა წულუკიძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, დილის 5 ს., უეცრათ გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორის გერი, მესამის დისწული და ნარჩენთა ძვირფასი ძმა

თ-დი სერგო (იგივე სერიოჟა) იასონის ძე წულუკიძე.

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 სათზე, პოლიციის ქუჩაზე დადეშქელიანის სახლში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.
2—2—4008.

---

6 ოქტომბერს 1915 წელს გარდაიცვალა „კოლეჟსკი სოვეტნიკი"

კონსტანტინე დავითის ძე ჩარკვიანი

თავზარდაცემულნი: მეუღლე მისი, თეკლე გიორგის ასული, შვილები: დავით, ვლადიმერი და სონია კონსტანტინეს ძენნი და ასული სიძე ნიკოლოზ პიმენის ძე გაბაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ყოველ დღე საღამოს 5 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი საკუთარ სახლში, ტელეგრაფის ქუჩაზე. ცხედრის წასვენების დრო გამოცხადდება შემდეგში. 2—2—4009

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

სერაფიონ მ. დადუნაშვილი

ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამ-კურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ბეწვს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძის სახლი. თ

ელექტრო „**რადიუმი**" თეატრი
ხუთშაბათიდან, 8 ოკტომბრიდან ნაჩვენები იქნება დიდი მონოპოლური სურათი

ნიკოლოზ სტავროგინი.

მოსკოვის ცნობილ მსახ. ი. ი. მოზჟუხინისა და რიდინის მონაწილეობით 6 ნაწ. თ. მ. დოსტოევსკის თხზულებიდან (ეშმაკები).

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ორი საუცხოვო სურათი: 1 **მოცეკვავე შავ ტაძარნაში**, სენსაციური დრამა 6 ნაწილათ. 2. **ჯაჭვი ტანჯვისა და მწუხარებისა.** დრამა თანამედ. სამხედრო ცხოვრებიდან 5 ნაწი.

1915 წ.
ოქტომბერი
10
შაბათი.

იაფ ფასიანი წარმოდგენა № 2.
წარმოდგენა № 5.
„ქართული დრამა".
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8-საათზე
ცნობილი კლასიკური ტრაგედია

ყაჩაღები.

5 მოქმედებ.
ავტორი: შილლერი—მთარგ. ნ. ავალიშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი **შალვა დადიანი.**
ადმინისტრაცია „ქართული დრამის" ამხ-ბა. 1—1

ანონსი:
მზადდება
ბერშტეინის—„ურიის სისხლი",
ანდრეევის—„გაუდეამუს".

განცხადება

სათნოების უფროსს დას ქ-ნ მარიამ ვასილის ასულს როსტოვცევისას გუშინ, 7 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში

დაკარგვია დოკუმენტები

ორი სურათით. მპოვნელს სთხოვს წარადგინოს წყალგალმა საპოლიციო უბნის კანცელარიაში, სადაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 2—2—4007

„**სინათლის**" საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში** მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საშუალო სასწავლებლის უმცროს კლასებისათვის, უმაღლეს დაწყებით 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკოლოზ ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძი-ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

დავკარგე ატესტატი ქუთაისის ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებლისა. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, რკინის გზის ტეხნიკურ კანტორაში, ვლადიმერ შერიფაძეს.
1—1.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 7 ოკტომბერი. ფელდმარშალი ფრენჩი იტყობინება: გუშინ მტერმა იერიში მოიტანა ჩვენ ფრონტზე კამენოლომნიდან გიულუხამდე. ჩვენ თხრილებზე ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ მტრის ქვეითი ჯარი შეეცადა ჩვენზე იერიში მოეტანა გაშლილ ველზე, მაგრამ შევაჩერეთ საარტილერიო, ტყვიისმფრქვეველთა და თოფების ცეცხლით. შემდეგ იერიში მოიტანეს ყუმბარების დახმარებით გოგენცოლერნის რედუტთან, მოვიგერიეთ მტერი მისი დიდი ზარალით.

სამხრეთის ასპარეზი.

რომი. 7 ოკტომბერი მთავარი ბინის ცნობა: ჩვენი წინსვლა ტიროლ-ტრენტინოს რაიონში 6 ოკტომბერს გრძელდებოდა და ბრწყინვალე შედეგები ქონდა. ჯაუდიკარის ხეობაში ჩვენ ახალი ძალებით კონდინოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მაღლობი დავიკავეთ, რომელიც ძლიერ გამაგრებულ პოზიციას წარმოადგენს, ის იცავს ლონეს და ლედროს ხეობების მისავალს და კლოეში გამოჭრილი ორი წყება თხრილებითაა გამაგრებული, დავატყვევეთ 80 ჯარის კაცი და 4 აფიცერი, ავსტრიელთა გარნიზონის დარჩენილი ნაწილი გაიქცა. ლაგორინის ხეობაში ჩვენი ოპერაციები დავამთავრეთ: 5 ოკტომბერს დავიკავეთ მაღლობი კრესანოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც აგრეთვე აურაცხელი სიმაგრეებით და თხრილებით იყო დაცული. სარბელნაროში მტერი შეეცადა ახლათ დაკავებული პოზიციებიდან გავედევნეთ, მაგრამ მოვიგერიეთ.

პარიზი. 7 ოკტომბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა: დღის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო არასის ჩრდილოეთით, ლოოს სექტორსა, ჟივანშის ტყესა და ლილის გზაზე. ჩვენი ბატარეების ძლიერმა ცეცხლმა ააფეთქა სამხედრო იარაღების დიდი საწყობები მტრის ხაზზე ენისა და ნავარინის ფერმის ჩრდილოეთით. რეიმსის აღმოსავლეთით გერმანელთ ისევ დაუშინეს ცეცხლი ყოველი ზომის ზარბაზნებიდან და მახრჩობელა გაზიანი ყუმბარებით ჩვენი ფრონტის ხაზს. ჩვენსხელში მყოფ გორაკიდან, ვიდრე პრიუნემდე. ჩვენ არტილერია მედგარ პასუხს აძლევდა. დანარჩენ ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჰავრი. 7 ოკტომბერს. ბელგიელთა ცნობა: დღეს მტრის არტილერია ძლიერს მოქმედებას ვერ ჩენდა. მტერმა სუსტი სროლა აუტეხა ჩვენს გამოწეულს სადგომსა და კესტკერკეს რაიონს, აგრეთვე უდეკაპელლეს მიდამოებს. ჩვენი არტილერია გერმანელთ ბატარეის პასუხს აძლევდა და დიქსმიუდეს ჩრდილოეთით მუშები გაფანტა.

პარიზი. 7 ოკტომბერი. დღის ცნობა: ღამის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ლიგონის სექტორში ჩვენ მრტილერიის ცეცხლით ჩავაჩუმეთ მტრის ტყვიისმფრქვეველები და ყუმბარის მტყორცნელები, რომელნიც ჩვენ გვესროდენ. შამპანში ტაჰიურის გორაკის მიმართულებით მაასისა და მოზელს შუა ფლირეს ჩრდილოეთით მტერმა რამდენჯერმე აგვიტეხა საარტილერიო სროლა, ჩვენ ენერგიულათ ვუპასუხებდით.

პარიზი. 7 ოკტომბერი. ღამით გერმანელებმა სამი სერიოზული იერიში მოიტანეს ჟივანშის ტყეში სუშეს ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა, რომელიც ახლათ დაჭერილ პოზიციებზე იყო გამაგრებული წარმატებით მოიგერია მტერი. შამპანში ნავარენის ფერმის აღმოსავლეთით ბრძოლები სწარმოებს ყუმბარების დახმარებით. ჩვენი არტილერიის ძლიერმა ცეცხლმა აიძულა მტერი შეეწყვიტა ეპარჟის ჩვენს პოზიციებზე ყუმბარების ძლიერი დაშენა. ჩვენი მფრინავების ჯგუფმა 5 ოკტომბერს ყუმბარები დაუშინა პაეროდრომს ბიურლიონკურში შატოსალენის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ბულგარელების დამარცხება.

ნიშიდან კოპენჰაგენის გაზეთებს ატყობინებენ, რომ ბულგარელები კნიაჟევაცასთან სასტიკათ დამარცხდენ. მთელი რაზმები მაკედონელებისა, რომელთაც იერიში მიქონდათ, სერბიის არტილერიის ძლიერმა ცეცხლმა მთლად ამოსწყვიტა.

უარყოფა.

ათინაში მყოფი სერბიის ელჩი უარყოფს ბულგარეთის მიერ გავრცელებულ ხმას, ვითომც სერბელების ჯარი დაესხა თავს ბულგარეთის სადარაჯო რაზმებს. ელჩი აცხადებს, რომ სერბიას არ შეეძლო დაეწყო სამხედრო მოქმედება ბულგარეთის წინაამდეგ, რადგანაც იგი გულ-

წრფელათ ესწრაფოდა ბულგარეთთან მეგობრული კავშირის შენარჩუნებას და ერიდებოდა განხეთქილებასაო.

ათინაში მიღებული ცნობებით, 50,000 ჯარისკაცისაგან შემდგარი ბულგართა რაზმი გადავიდა სერბიის საზღვარზე და ვლანდოვო დაიკავა... ამ რაიონში ბულგარელების გადასვლის მიზანია შესწყვიტონ მიმოსვლა ნიშსა და სალონიკს შუა და გაანადგურონ რკინის გზის ხიდები მდ. სტრუმიცაზე.

ბრძოლა ინგლისის წყალქვეშა ნავებისა.

„ნაციონალ ტიდენდეს“ ცნობით, ოთხ შაბათს კუნძულ მენის ახლოს ბრძოლა მოხდა ინგლისის წყალქვეშა ნავებისა და გერმანიის ფლოტილიის შორის, რომელიც ერთი კრეისერისა და ორი დიდი ნაღმოსნისაგან შესდგებოდა. გაჩაღდა ძლიერ კანონადა, სროლა 20 წუთს გაგრძელდა. კუნძულ მენის მცხოვრებნი კარგათ ხედავდენ გერმანიის ფლოტილიის ცეცხლს. მცირე ხნის შემდეგ ძლიერი აფეთქების ხმა მოისმა, რასაც შედეგათ მოყვა გერმანიის ერთი ნაღმოსნის დაღუპვა. გერმანიის ფლოტილიამ სამხრეთის მიმართულებით გასცურა. ჯერ გამორკვეული არაა დაღუპულ ნაღმოსნის ეკიპაჟი გადაარჩინეს თუ არა.

ცეპელინების საწინააღმდეგო ზომები.

ლონდონში ამ დღეებში მრავალ-რიცხოვანი მიტინგი გაიმართა იმის გამოსარკვევათ, თუ როგორი ზომები მიიღონ ინგლისის სანაპიროებსა და ლონდონის მიდამოებში ცეპელინების თავდასხმის დროს თავის დასაცავათ.

მიტინგმა შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: ინგლისისა და საფრანგეთის მფრინავებმა ცეპელინების ყოველ თავდასხმის შემდეგ უნდა მოახდინონ სამაგიეროთ საჰაერო თავდასხმა გერმანიის ქალაქებზე.

ბულგარეთის ელჩის განცხადება.

ათინაში მყოფმა ბულგარეთის ელჩმა პარასკევა ზაიმისს განუცხადა, ბულგარეთმა სერბიას ომი გამოუცხადა იმის გამო, რომ სერბიის მთავრობამ ნიშში მყოფ ელჩს ჩაპრაშიკოვს პასპორტი ჩააბარა და სერბიის ჯარი ბულგარეთის სადარაჯო რაზმს თავს დაესხა კიუსტენდილის ახლოს, რომლის დროსაც მოკვდა 70 ბულგარელი და 500 დაიჭრა.

იტალიის პრესა ბალკანეთის შესახებ.

„დეილ ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ იტალიის მაღალი წრეების აზრით ამ ზამთარში ევროპის ყველა ფრონტზე ბრძოლა დროებით მიყუჩდება ბალკანეთის გარდა, სადაც ზამთრის პირობები ხელს უწყობენ სამხედრო მოქმედების წარმოებასაო.

ამიტომ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ ზამთრის განმავლობაში გადამწყვეტი შედეგები მოიპოვონ ბალკანეთში. ეს გარემოება კარგათ ესმისთ გერმანელებს, რადგანაც მოკავშირეთაგან ავსტრო-გერმანელების შეჯერება სერბიაზე თავდასხმის დროს მოასწავებს ცენტრალური სახელმწიფოებისათვის მთელი ომის კამპანიის წაგებას, რისთვისაც გერმანელები მეტ აქტიურ მოქმედებას იჩენენ ბალკანეთში.

გენერალ ჟეკოვის მოწოდება.

„ლოკალ ანცეიგერი“-ს ცნობით, სოფიის გაზეთებში დაბეჭდილია ბულგარეთის ჯარის მთავარ-სარდლის ჟეკოვის მოწოდება ბულგარეთის ჯარისადმი. მოწოდებაში, სხვათა შორის, სწერია: ბულგარეთის ჯარსა და ბულგარეთის ერს ბევრი განუცდია ბედნიერება, გამარჯვება და ტანჯვა-მწუხარებაც. ბულგარეთის ჯარი შესძლებს გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.

— ბუდაპეშტის გაზეთის „აზ ესტ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ბულგარეთის სამხედრო მინისტრს გენერალ ნაიდენოვს გაუცხადებია: „უკვე გავიდა მოლაპარაკების დრო. ახლა დადგა ჟამი, როცა მხოლოდ იარაღმა უნდა დაილაპარაკოსო.“

სად გადაწყდება ომის ბედი?

გაზეთ „ფორვერტს“-ში ეხება ეხლანდელ რთულ მდგომარეობას და ამბობს, რომ ბალკანეთზე ერთმანეთს შეხვდებიან ყველა მებრძოლი სახელმწიფოები და ევროპის ომი ახალ ხანაში გადადის, როცა ყველაფერი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე გადასწყდებაო.

რა გზას დაადგება საბერძნეთი?

საბერძნეთის რწმუნებულს შეეკითხნენ ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ და განაცხადა: „ჩვენ მივყვებით განსაკუთრებით საკუთარ ნაციონალურ პოლიტიკას და გვწამს საკუთარი ინტერესები. ჩვენ დავუშვებთ მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმას; თუმცა ამას გერმანიაში არა კეთილ განწყობილების ნიშნებათ ჩასთვლიან. ჩვენ კი ეხლა მეტათ თავდაჭერილათ ვართ გერმანელებისადმი. საყოველთაო მობილიზაცია გამოწვეულია განსაკუთრებული მომენტით, რომელიც ბალკანეთზე დადგა“. იმ კითხვაზე, დაეთანხმება თუ არა ზაიმისის გადადგმულ ნაბიჯს პარლამენტის უმრავლესობა, რწმუნებულმა უპასუხა: „ამაში ეჭვი არავის არ უნდა ეპარებოდეს. ისეთ კონსტიტუციონურ და პარლამენტარულ ქვეყანაში, როგორიც საბერძნეთია, მთავრობა არასოდეს არ გადასდგამს ისეთ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია უთანხმოება გამოიწვიოსო“.

რუმინიის ნეიტრალიტეტი.

გერმანიის გაზეთების ცნობით, რუმინიაში მინისტრთა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლის ძალითაც რუმინია ნეიტრალიტეტს დაიცავს.

ოსმალეთის იმედები

ოსმალეთის დეპუტატთა პალატის თავჯდომარემ ხალილ ბეიმ, შეეხო რა ბალკანეთის დღევანდელ საკითხს, სხვათა შორის, სთქვა: „სროლის ხმა, რომელიც დუნაის ნაპირებიდან ისმის, იწყებს ახალ ხანას საერთაშორისო ომისას. როცა სწორი მიმოსვლა აღდგება ოსმალეთსა და ცენტრალურ იმპერიებს შორის, რაშიც ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება ჩვენ მამაც ჯარს საშვალება მიეცემა შეასრულოს თავის მოვალეობა ყველა ფრონტზე. კონსტანტინოპოლის კარებთან და გალიპოლის ნახევარ კუნძულზე, რომელიც ეხლანდელ ომის უმთავრეს ობიექტათ გადაიქცა, ჩვენი მტრების იმედები ნახავენ საფლავს...

ბულგარეთი, ომის ისტორიაში ახალ ხანას ქმნის. ამ ომის უმთავრესი შედეგი იქნება ის, რომ ჩრდილოეთ ზღვიდან, ინდოეთის ოკეანემდე შეიქნება ისეთი ჯგუფი სახელმწიფოთა, რომელნიც სამთა შეთანხმებას არასოდეს უფლებას არ მისცემენ მოახდინონ საერთაშორისო კატასტროფა“.

ენვერ-ფაშა კი ხალილ ბეის სიტყვებს დასძენს: „არ არის ქვეყნათ ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ავსტრია-გერმანიის ძლიერების დამსხვრევაო“.

ბრძოლა რიგის რაიონში.

დრისვიატიდან მოყოლებული რიგამდე სასტიკი სროლაა. გერმანელები იერიშით მიდიან წინ. ავტორიტეტული წრეები ჰფიქრობენ, რომ მათ მიზნად უფრო ფართო მოხაზულობა აქვთ, ვიდრე რიგის დაჭერა. დვინაზეც საარტილერიო ცეცხლი მძინვარებს. გერმანელები ცდილობენ გზა გადასჭრან დვინისა და რიგის შუა. ეს ოპერაცია დღითი-დღე ვითარდება. გერმანელები აძლიერებენ ჯარებს.

სერბიის ახალი სატახტო ქალაქი.

როგორც ვიცით, ბელგრადიდან სატახტო ქალაქი ნიშში გადაიტანეს. ახლა ნიშიდან პრიშტინში გადაუტანიათ.

ბულგართა ლაშქრობა.

ბულგარებს ჯერ-ჯერობით პიროტამდი მიუღწევიათ. ოსმალთა ჯარები ვარნაში მოდიან, ბურგსა და დედეაგაჩში: ფერდინანდი პოზიციებზე გამოსულა. ელიან საგენერალო ომს.

გერმანეთ რუმინეთის შეთანხმება.

სალონიკში დაბეჯითებით ამბობენ, გერმანეთ-რუმინეთის შეთანხმება მოხდაო. რუმინეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს.

„რუს. სლ.“ იტყობინება, რომ „ნიში“-ში დაიარებიან უკანასკნელ ბრძოლაში დატყვევებული ნემცები და ბულგარები—შათი ტანისამოსი წააგავს რუსულს. ტყვეების შეხედვა ხალხში სიბრალულს იწვევს.

— —

„რან. უტრ.“ დეპეშით აცნობებენ, რომ ინგლისის ფლოტმა ალყა შემოარტყა „დედეაგაჩს“.

— —

„რუსკ. სლოვო“ იტყობინება, რომ სერბიის შტატი ამაგრებს „ზეიჩარ-პრახოვის“ ხაზს, იმ აზრით, რომ ხელი შეუშალოს ავსტრია გერმანიის გაერთიანებას ბოლგარეთთან.

— —

„რუს. სლოვო“-ს ბუქარესტიდან დეპეშით ატყობინებენ: ვარნაში უკვე ჩამოვიდა ოსმალეთის ჯარი—ყოველნაირი საომარი იარაღით. ვარნაში მცხოვრები სომხები აღელვებული არიან.

— —

„რუსკ. ვედ.“ სამხედრო კორესპონდენტი კიროვი იტყობინება, რომ ტყვე გერმანელების გადმოცემით—აღმოსავლეთიდან მათ გადაყვათ ნაწილი საომარი ძალისა საფრანგეთისკენ, სადაც, ვთომ, ისინი ემზადებიან თავდასხმისთვის. ოთხიდან ექვს დივიზიამდი უკვე გადაყვანილია სერბიაში.

— —

„ნოვ. ვრ.“ ატყობინებენ კოპენჰაგენიდან, რომ ბერლინის ქუჩებში 10000 მანიფესტანტი წინააღუდგა 60 წლის მამაკაცთა ჯარში გაწვევას. ბრბო ყვიროდა:—„გვშია“ —„შერიგება გვწადიან“ —მანიფესტანტებს ჯარმა სროლა დაუწყო. მრავალია მოკლული და დაჭრილი.

— —

ნიშში მოიყვანეს 400 მეტი ტყვე ბავარიელები, ბელგრადთან ბრძოლის დროს დატყვევებულნი.

— —

„ვეჩ. ვრ.“ დეპეშით ატყობინებენ: ზაიჩარს და პარაჩარს შუა 250 ბულგარელმა ალყა შემოარტყა სერბიის მეტარებელს, მაგრამ მოგერებულ იქნენ. დაჭრილი და მოკლული 160 მდეა.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რუსეთი.

გუბერნატორების დაბარება.

პეტროგრადში გაიწვიეს ყველა ის გუბერნატორი, რომლებიც დანიშნული არიან ყოფილ მინისტრის შჩერბატოვისაგან.

„ფორმალური მიზეზი“.

როგორც ვიცით ახლად გადაყენებული სინოდის პროკურორი მოსკოვის სასულიერო აკადემიამ თავის საპატიო წევრათ აირჩია. ამის გამო სინოდალურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ „ფორმალური მიზეზის“ გამო, სამარინი საპატივო წევრათ არ იქნება დამტკიცებული.

მემარჯვენეები და ხვოსტოვი.

ხვოსტოვის მინისტრათ დანიშვნის გამო, მემარჯვენეთა შორის დიდი მითქმა-მოთქმაა. ამ რამოდენიმე დღის წინათ მოხდა ჰეშმარიტ რუსთა კავშირის საბჭოს კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა თუ როგორ მოახდინონ გავლენა შინაგან საქმეთა სამინისტროზე. მარკოვ მეორეს ხვოსტოვის განცხადებანი არ აკმაყოფილებს. ორატორები თხოულობდენ, სამინისტროში პარტიული კაცის გაყვანას. მით უმეტეს საჭიროა ეს, ამბობდენ ისინი, რომ ზოგიერთ მემარჯვენეთა ორგანიზაციებს უკვე ჰყავთ თავის კაცებიო. კრების აზრით, ჰეშმ. რუს. კავშ. მნიშვნ. აქვს პოლიციის დეპარტამენტის უწყებას, რომელიც წელიწადში 10 მილიონ მანეთს იღებს ფონდის სახით. კრებამ დაადგინა: მიიღონ ზომები პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოლოვის გადაყენების შესახებ, რომელიც „რუს. კავშირს“ არ წყალობს და მის მაგიერ გაიყვანონ სახ. დუმის წევრი ზამოლოვსკიო. გაზეთების გადმოცემით მოლოვის გადაყენების საკითხი, გადაწყვეტილია. დუბროვინის კავშირი მოითხოვს ხვოსტოვიდან დეპუტატის მანდატის მოხსნას.

კურორტების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს აცნობა შეატყობინონ სამინისტროს, რომელ გუბერნიებშია სამკურნალო წყლები და ტალახები, ან თუ ამ წყლებთან ახლოს არის სახაზინო მიწები, სადაც შეიძლება კურორტების მოწყობა.

გამოცხადდა შემდეგი განკარგულება: ის ოფიცრები და ჯარის კაცნი, რომელთაც მიღებული აქვთ ჭრილობა, ან დასახიჩრებულნი არიან და ან შხამიან გაზით მოწამლულნი და ორჯერ დაბრუნებულან ომში, მესამეჯერ აღარ გაიგზავ-

---

ანი და „მესამე ბლოკი“.

(ანის „ორი ბლოკის“ გამო).

(დასასრული. იხ. „სამშობლო“ № 194).

4.

ორგვარი კატასტროფა.

ომი იმდენათ აინტერესებს მუშებს და იმდენათ ერევიან ისინი ომის საქმეში, რამდენათაც იგი შინაგან კატასტროფას ამზადებს და რამდენათაც ომი ამ შინაგანი კატასტროფის პირობების გაღვივებას ხელ უწყობს. ხოლო სადაც ომი ქვეყნის დაცვის საერთო სამშობლოს ხსნის საკითხს აყენებს, იქ ისინი თვითონვე ცდილობენ საქმეს სათავეში ჩაუდგენ და ამნაირათ გარეშე მტერიც და შინაურიც თვითონვე, თავისი საკუთარი მეთაურობითა და ხელმძღვანელობით. შეიძლება ბურჟუაზიის წინააღმდეგაც, ასპარეზიდან გაძევონ. ასეთია მათი ბუნებრივი კლასიური მისწრაფება. ასე მოხდა ეს საფრანგეთის ისტორიაში 1870—1 წელს.

აი, რას ურჩევდა მაშინ საფრანგეთის მუშათა კლასს მარქსი და რა აზრის იყო იგი „კომუნის“ კლასობრივ ბრძოლაზე.

20

„საფრანგეთის მუშათა კლასი ახლა, სწერდა მარქსი, მეტათ უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება. მართალია ყოველივე ცდა მათი მხრით ახალი მთავრობის დასახობათ იმ დროს, როცა მტერი უკვე პარიზის კარებზეა მომდგარი, სასოწარკვეთილის უგუნური ქცევა იქნებოდა. საფრანგეთის მუშებმა თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა უნდა შეასრულონ, მაგრამ თავს ნება არ უნდა მისცენ, რომ 1792 წლის ნაციონალური ტრადიციებით გაიმსჭვალონ და მოსტყუვდნენ“...

ასე აფრთხილებდა მარქსი საფრანგეთის მუშებს, იმდროს, როცა მათგან „სამშობლოს“ დაცვას მოითხოვდენ.

მუშებმა მართლაც იმ დროს როცა პარიზი მტრის ჯარებით ალყა შემორტყმული იყო, ძველი მთავრობა გარეკეს და 1870 წელს 4 სექტემბერს საფრანგეთში რესპუბლიკა გამოაცხადეს, რომლის კაბინეტში ახალმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ მზამზარეულზე თავისი ნებით არჩეინათ მოიკალათა. მაგრამ „პარიზის დაცვა კი, როგორც მარქსი ამბობს, შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მუშებს შეაიარაღებდენ და მათგან ნამდვილ გაწრთვნილ ლაშქარს შექმნიდენ“. ახალმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ, რომელსაც ტიერი ხელმძღვანელობდა, ჯერ მართლაც გადადგა ასეთი ნაბიჯი: მუშებს იარაღი გადასცა და მათგან სამხედრო წესით გაწვრთნილი „ნაციონალური გვარდია“ შეადგინა. „მაგრამ მალე გაჩნდა ანტაგონიზმი, სწერს ამაზე ენგელსი, ერთი მხრით მთავრობისა, რომელიც ერთთავათ ბურჟუებისგან იყო შემდგარი—და მეორე მხრით შეიარაღებულ პროლეტარიატს შორის... 31 ოქტომბერს მუშებმა საქალაქო საბჭოს სადგომი დაიკავეს და მთავრობის რამდენიმე წევრი დაატყვევეს, მაგრამ, როცა დაინახეს, რომ გარს შემორტყმულ მტრის თვალწინ ეს „სამოქალაქო ომს“ იწვევდა, ისევ მალე გაანთავისუფლეს ისინი.

„დაპოლოს პარიზი შიმშილმა მაინც აიძულა, რომ მტერს დანებებოდა. ეს მოხდა 1871 წლის 28 იანვარს“, მტერი პარიზში შემოვიდა და ერთ უბანში დაბანაკდა. ამნაირათ პარიზი შეიარაღებულ მუშებსა და პრუსიის ჯარს შორის განაწილებული შეიქნა. საფრანგეთის ჯარების ერთი ნაწილი ქალაქს გარეთ დარჩა, ხოლო მეორე გერმანიაში იყო ტყვეთ წაყვანილი. პრუსიის ჯარსა და მუშებს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდა: არც ერთი მხარე სისხლის დასაღვრელათ ერთი მეორისაკენ არ მიიწევდა. ამ პირობებში საფრანგეთის მთავრობამ მტერთან ზავის ჩამოგდება არჩია და მართლაც მეტათ საპატიო ზავი მალე შეიკრა. მაგრამ ახლა მთავრობას შეიარაღებულ მუშების შიში ჩაუვარდა გულში და მათ იარაღის აყრა მოუნდომა. 18 მარტს ტიერმა ბრძანება გასცა, რომ „ნაციონალური გვარდიისთვის“ არტილერია ჩამოერთმიათ: ეს მუშების იარაღის აყრას მოასწავებდა რამაც მუშები მეტათ აღაშფოთა და იარაღი მთავრობის წინააღმდეგ ხელში აიღებინა: პარიჟის პროლეტარიატმა საფრანგეთის მთავრობას ომი გამოუცხადა.

ცენტრალურმა კომიტეტმა 18 მარტს შემდეგი მანიფესტი გამოსცა: „პარიზის პროლეტარებმა ახლის გაბატონებული კლასების სამარცხვინო დამარცხება და ღალატი დაინახეს, მიხვდენ, რომ დადგა დრო, როცა მათ თვითონვე უნდა იხსნან, დაიცვან ქვეყანა და ამ ქვეყნის საზოგადო საქმეებიც თვითონვე გაუძღვენ... ისინი მიხვდენ, რომ ეს მოვალეობა მათ კისრათ აწევთ და მათივე უცილობელი უფლებაა, რომ საკუთარი ბედი თვითონვე გამოჭედონ და მთავრობის ძალა—უფლებაც ხელთ იპყრონ“. ამით მთავრობა დაფრთხა და პარიზიდან [illegible] ვერსალში გაიქცა და იქიდან დაიწყო იერიშების მიტანა თავისივე სარეზიდენციო ქალაქის, საფრანგეთის გულის წინააღმდეგ. პარიჟის მუშებმა 26 მარტს (მეორე დღეს) „ნაციონალური ცენტრალური კომიტეტის“ ალაგას მუშათა კომიტეტი აირჩიეს, რომელსაც „პარიზის კომუნა“ უწოდეს და ქალაქის შინაური ცხოვრების მოწყობას შეუდგენ; მაგრამ [illegible] და გადაყენებული მთავრობა არ ისვენებდა: პრუსიებს თხოვდა, ემუდარებოდა, რომ საფრანგეთის დატყვევებული ჯარი ჩქარა განთავისუფლებია, რომ მისი საშუალებით პარიზელი მუშები დაემორჩილებია. ასედაც მოიქცენ. მთელი თვე ნახევარი გაცხარებული ბრძოლის შემდეგ 21 მაისს ძლივს შესძლეს პარიზში შესვლა პარიზში ძალით შევიდნენ მუშებისგან გაძევებულნი და მთელი ერთი კვირა მუშების სისხლში ბანაობდენ. ახალ გამოგონებული მიტრალიეზით (მექანიკური თოფით) კლონზე გილიოტინის დამწველ მუშებს შეუბრალებლათ ჟლეტდენ. „კომუნარები“ გაწყვიტეს და პარიზში ხელახლავ გაბატონდენ. „კომუნარების“ ამ ისტორიულ ფინალის გამო მარქსი ამბობს:

„თანამედროვე უსაშინელესი ომის შემდეგ დამარცხებული და გამარჯვებული ჯარები ერთი მეორეს უერთდებიან, რომ ერთად ჟლეტონ პროლეტარები... უდიდესი გმირობა, რაზედაც ჯერ კიდევ ძალა შესწევდა ძველ ქვეყანას, ეს იყო სახალხო ომის გამართვა. მაგრამ ესეც ახლანდელი მთავრობის გაიძვერული ხრიკია, რომელსაც სხვა მიზანი არა აქვს გარდა კლასობრივი ბრძოლის გადადებისა და ამიტომაც ეს ომიც და ეს ხრიკიც ხელათ ჯანდაბისაკენ მიდის და ჰქრება, როგორც კი კლასობრივი ბრძოლა ჩაღდება და სამოქალაქო ომის ცეცხლი აინთება ხოლმე. კლასობრივ ბატონობას იმიდან აღარ შეუძლია ნაციონალური სამოსელით თავის გულის ნადები დაფაროს. იმიდან პროლეტარიატის წინააღმდეგ ყველა ნაციონალური მთავრობები ერთნი არიან.

1871 წლის სულიწმიდის მოფენის დღიდან, მაისიდან საფრანგეთის მუშებსა და მათი შრომის ნაყოფის მიმთვისებელთა შორის აღარც ზავი და აღარც დროებით მორიგება აწ აღარ შეიძლება“. ასე მსჯელობს მარქსი საფრანგეთის მუშებისა და მათ მყვლეფელ ბურჟუაზიის შორის ურთიერთობაზე და თქვენ იფიქრებთ, რომ დღევანდელმა მსოფლიო ომის მსვლელობა-ვითარებამ მისი სიტყვები არ გაამართლა. საფრანგეთში თითქო სრული ნაციონალური თანხმობა—კავშირი განმტკიცდა და კლასობრივი ბრძოლა თითქო სულ შეწყდა.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს გარემოება მარქსის მიმდევრობიდან გაპარვოდეს, არა, იგი იქვე დაბეჯითებით ამბობს: თუმცა დაქირავებულ — რეგულიარულ ჯარის მეოხებით შეუძლიათ ორივე კლასი დროებით შეკრან-შებოჭონ და ორივე ერთ საგანზე მიალურსმონ, მაგრამ ბრძოლა მათ შორის მაინც იფეთქებს და რაც დრო გავა, მით უფრო გაძლიერდება......

არ გაგონდება, მკითხველო, ამ სიტყვების წაკითხვაზე რუსეთის კლასთა დღევანდელი ურთიერთშორის განწყობილება და შედარებით „მდუმარება“?

ომის წინ რუსეთის მუშათა ფრთაგაშლილი მოძრაობის ყოველ დღიურ ამბებს მუშათა ორი ვრცელი გაზეთის ფურცლებიც ვერ იტევდა. ახლა კი კანტიკუნტათ თუ გესმის მათი „მოძრაობის“ ამბები. ომის დასაწყისში „მოძრაობა“ თითქო ჩაკვდა: არა მარტო მუშების, არამედ ბურჟუაზიისაც, თუ, რასაკვირველია, ომისთვის მზადებას სახეში არ მივიღებთ. ამნაირათ აქ ასრულდა მარქსის სიტყვები: რეგულიარულ ჯარის მეოხებით შეუძლიათ ორივე კლასს ყურადღება ერთ საგანზე მიალურსმონ და ასე შესწყვიტონ კლასობრივი ბრძოლაო“.

მაგრამ

„საერთო სამშობლოს“ განსაცდელში ჩავარდნამ ბურჟუაზიაც „გამოაძვრინა სოროდან“ და მუშათა კლასიც

ნონ ომში. ავათმყოფობით დაბრუნებულნი ამ კატეგორიას არ მიეწერებიან. ასეთი პირნი სამსახურში გამოსადეგნიც რომ იყვნენ და ამ ჟამით ბრძოლის ველზე თუ იმყოფებიან კიდეც თუ იგინი მესამეჯერ დაბრუნებულან გადაირიცხონ სათადარიგო ბატალიონებში.

„რენეე უტრო“ იტყობინება, რომ 21 ოქტომბერს, მეფის ტახტზე ასვლის 21 წლის თავზე, მოწყალებას ელიან. სხვათა შორის გათავისუფლებული იქნებიან სასჯელისაგან ადმინისტრატორები, რომელთაც მოსკოვის აჯანყებაში ბრალს სდებენ.

მოკავშირეთა დესანტი სერბიაში უკვე შევიდა და მიიწევენ წინ იმ მიზნით, რომ რახოვოსა და დუნაის სანაპიროს რაიონში ოკუპაცია მოახდინონ.

იტყობინებიან, რომ ბრინდიზიდან მუდროსს იტალიის ესკადრა წავიდა, საფრანგეთის ესკადრის შესაცვლელად, რომელიც დედეაჩის ბლოკადას უნდა შეუერთდეს.

ქართული პრესა.

წვრილი კრედიტის ორგანიზაციათა საერთო კავშირის მოწყობის შესახებ, „საქართველო“ სწერს:

წვრილი კრედიტის ამხანაგობები, რომელთა რიცხვი საქართველოში თან და თან იზრდება, რაც დრო გადის მეტ ყურადღებას იპყრობს სწორედ იმათგან, ვის საშველად და ხელის შესაწყობადაც ისინი არიან შემოღებულნი. სოფლის გაჭირვებული მეურნე ნდობით და პატივით მოეკიდა ამ ახალ საქმეს, რადგანაც მისთვის ცხადი და საგრძნობელია, ამ დაწესებულების პირდაპირი, პრაქტიკული შედეგი და სარგებლობა.

არის ნიშნები, რომ ჩვენს ხალხს შეეგნია ასეთი ორგანიზაციების მნიშვნელობა და ცდილობს კიდეცა მათ გაზრდას და შეერთებას. სამეგრელოსა და იმერეთში მომხდარ წვრილ კრედიტთა ამხანაგობის სამაზრო კრებებზე გამოითქვა ერთხმოვანი სურვილი ამ ამხანაგობათა კავშირის დაარსებისა. ხოლო კახეთის წვრილ კრედიტის ამხანაგობებს ეს სურვილი საქმედ უქცევიათ. ამ დღეებში ცნობა მოვიდა, რომ სათანადო მთავრობამ დაამტკიცა კახეთის წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირიო. ეს ფრიად საყურადღებო ცნობა ხალისსა და ენერგიას გაუძლიერებს იმ ამხანაგობებს, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში შეუკავშირებლად არიან გაბნეულნი. მზად არის ყველა ობიექტიური პირობა, რომ მოეწყოს ერთი სრულიად საქართველოს სამეურნეო ორგანიზაცია; ჯერ ჯერობით ამ ტენდენციის განალდება შეიძლება მთელ საქართველოში არსებულ წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირის დაარსებით ერთი ცენტრალი სამეურნეო ორგანო, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეთა, ამხანაგობათა ბუნებრივს ზრდაზე იქნება აღმოცენებული, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას და საერთო იდეიურ თანაზიარობის განმტკიცებას. ეს დიდი ეროვნული მნიშვნელობა ერთი წუთითაც არ უნდა ავიწყდებოდესთ იმ პატივცემულ პირთ, რომლებიც სათავეში უდგანან წვრილ კრედიტის ამხანაგობებთა მოძრაობას ჩვენში და გაძლიერებულის ენერგიითა და შრომით წარუძღვენ მათ მიერვე პირველად დანერგილ ძვირფასს საყვარელ საქმეს.

„მეგობარში“ იბეჭდება წერილი ბ. იმამისა, რომელიც ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების არკვევს სომხურ კაპიტალის შესახებ კავკასიაში, ავტორი შემდეგს ამბობს.

განგებ წინადვე განზრახულის მიზნით ხელს უწყობდენ თფილისში სომეხთა რიცხვის არანორმალურ გაზრდას და თვით სომხის ბურჟუაზიაც, განგებ, ძალდატანებით შექმნილია და გაბერილი. სომხის პლუტოკრატიის დღევანდელი ქონებრივი სიმდიდრე სრულიადაც არ არის სომხების ვაჭარი კლასის კანონიერი მსვლელობის შედეგი. სომხის სიმდიდრე უეცრად გაიზარდა რუს-ოსმალოთა შორის ომს შემდეგ 1877 წელს, როცა სომეხთ ჩაუვარდათ ხელში სამხედრო სურსათის დამზადების საქმე, რომელზეც არა ერთი მილიონი მოიგეს. შემდეგ, რასაკვირველია, ადვილად ჩაიგდეს ბაქოს ნავთიანი მიწები ხელში, თევზისა და სხვადასხვა ამ გვარების იჯარის საქმე. რადგან რუსეთის მთავრობის მოხელეობასა და სომეხ ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შორის აწ უკვე კავშირის სხვა ძაფი გაიბა და არა მარტო პოლიტიკური მოსაზრებანი. სომხის ბურჟუაზიის მსვლელობა რო განსაკუთრებულ პირობებში მოხდა, ეს იმითაც მტკიცდება, რომ სომეხ ბურჟუაზიამ ვერ გამოიჩინა შემოქმედებითი ნიჭი მრეწველობაში და ერთად-ერთი სფერო ვაჭრობა—მოვახშეობაც სხვადასხვა გაევროპიულებული სახით მათ თანდათან უდნებათ ხელში.

თეთრი კბილი და შავი გული.

ამ დღეებში „თანამედროვე აზრი“ დაწვრილებით შეეხო აჭარელთა შესახებ სათათბიროში შეტანილ შეკითხვის ისტორიას. წერილი იმდენათ საინტერესო იყო, რომ ჩვენმა გაზეთმაც უკლებლივ გადმობეჭდა ის. წერილი გადაბეჭდა აგრეთვე „სახალხო ფურცელმაც“ და, როგორცა სჩანს, საქმე ამით თავდება.

მაგრამ პირადათ ჩვენთვის „თანამედროვე აზრისაგან“ ნაამბობი ისტორია აჭარელთა საკითხისა სათათბიროში, იმდენად საინტერესოა, რომ არ შეგვიძლიან ჩვენი შენიშვნები არ გავუკეთოთ მას. მეტსაც ვფიქრობთ: აჭარელთა საკითხის ისტორია სათათბიროში, ის ბურთია, რომელიც მშვენივრათ მოთავსდა „სახალხო ფურცლის“ და თვით „საქართველოს“ პირშიაც და ჩვენა გვგონია ეს გაზეთებიც მიტომ სდუმან.

მაგრამ ჩვენ, რომელთაც იმ თავითვე სულ სხვა პოზიცია გვეჭირა ჩვენი დეპუტატების გამოსვლის საკითხში სათათბიროში, უფლება გვაქვს, ცოტა რამ გავიხსენოთ სულ ახლო წარსულიდან.

ყველას ახსოვს, რა განგაში ასტეხა ნაციონალურმა პრესამ დეპუტატ ჩხეიძის გამოსვლის გამო ცხრამეტ ივლისის სათათბიროს, ეგრეთ წოდებულ, „ისტორიულ“ სხდომაზე. ჩვენი დეპუტატებისადმი ზიზღმა უკიდურესობამდე მიაღწია. ჩვენმა თავად-აზნაურობამ გვერდი აუხვია მათ და ამიერიდან თავისი ისტორიული დეპეშა, კრუპენსკის და გრაფ ბობრინსკის გაუგზავნა, რომელშიაც ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესების დაცვას და ქართველი ხალხის წარმომადგენლობას სთხოვდა. „სახალხო ფურცელს“ დეპეშა არავისთვის გაუგზავნია, მაგრამ წერილი მოათავსა, რომელშიც ქართველ საზოგადოებას ურჩევდა, ვინაიდან ჩვენი დეპუტატები ქართველი ხალხის ინტერესებს არ იცავენ, ჩვენი მანდატი არა ქართველ დეპუტატებს გადავსცეთო. ჩვენ მაშინვე დავგმეთ ასეთი „ბუტიაობა“ ქართველ ოფიციალურ ნაციონალისტებისა და ასეთ ნაბიჯში უკუნურების გარდა სირცხვილიც დავინახეთ.

ეხლა, როდესაც „თანამედროვე აზრმა“ საქმის ნამდვილი ისტორია გამოაქვეყნა, იმაზედ სასაცილო აღარა იქნება რა [illegible] წარმოვიდგენთ, რომ, იმ დროს როცა ჩვენი თავად-აზნაურობა კრუპენსკის და ბობრინსკის დეპეშას უგზავნიდა და „სახალხო ფურცელი“ კი გვირჩევდა ქართული მანდატი მილიუკოვისთვის გადავეცა, რას სჩადიოდნენ კრუპენსკი, ბობრინსკი და მეტადრე ბატონ მილიუკოვის პარტია?

ისინი ყველა ღონისძიებას ხმარობდნენ ჩვენი დეპუტატებისთვის ხელი შეეშალათ ქართულ საკითხის გაშუქებაში სათათბიროს ტრიბუნიდან და თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს კიდევაც. ასეთი საქციელი რუს კონსერვატორებისა და ლიბერალებისა ჩვენ არც გვაოცებს. მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ამ საქციელით, ერთხელ მაინც გამოცდებოდნენ, ის ქართველი ნაციონალისტები ფედერალისტების ტიპისა, რომლებიც რუსის ლიბერალებში ეძებდნენ თავის დამცველებს და ეხლაც სძებნიან. საკითხს ფართოდ უნდა შევეხოთ. „სახალხო ფურცლის“ წინადადება, რომელიც ჩვენი დეპუტატების გადაყენებას და მანდატის სხვებზედ გადაცემას შეეხებოდა და რომელსაც, საბედნიეროთ, თავად-აზნაურობის მეტი არავინ გაჰყვა, მართლა „ბუტიაობით“ არ არის გამოწვეული. იგი გამომდინარეობს იმ პოლიტიკურ რწმენისაგან, რომელიც ახასიათებს ამ გაზეთს. რუსეთის ინტელიგენცია ფედერალისტურ ნაციონალისტებისთვის ის ბატონია, რომელზედაც ოცნებობდა მთელი თავისი სიცოცხლე ნეკრასოვის ნენილა. და ჩვენ ძალიან გვიხარიან, რომ ქართველ ნენილებს, ეს ბატონი, ერთხელაც არის მოევლინათ. მაგრამ ბატონი ბარინიჩფით მოვიდა და აჭარელთა საკითხი დამარხა.

რა უნდა ამოვიდეს ამ საფლავზედ?

კარგია კიდევ, თუ ამ საფლავზედ ის შეგნება აღმოცენდა, რომ ჩხეიძე და ჩხენკელი რაც უნდა იყოს უფრო ახლო არიან ჩვენზე, ვიდრე მილიუკოვი და კრუპენსკი! მაგრამ შეიძლება სხვაფრივაც მოხდეს. ქართველი პოლიტიკური ქვრივები და რუსის პოლიტიკური ჟუანები შეიძლება კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ამ საფლავზედ, როგორც კომანდორის ქანდაკებასთან.

შ. ამირეჯიბი.

მსახიობი კოლა ზვარაძე.
(წრევანდელი სეზონის გამო).

„აამოძრავა“. თუმცა მთავრობასთან ერთად ბურჟუაზიაც ცდილობდა მუშების ყურადღება „ერთ საგანზე მიელურსმა“ მაგრამ, მარქსის თქმისა არ იყოს, კლასიურმა ბრძოლამ მაინც იფეთქა და რაც დრო მიდის, მით უფრო ძლიერდება. მარქსის სიტყვები აქაც აღსრულდა;

გავაკეთოთ დასკვნა.

ჩემი პირველი წერილის ბოლოში კითხვა ასე იყო დაყენებული: რა განსხვავებაა ორგვარ „კატასტროფას“ შორის, ე. ი. ბრძოლის ველზე დამარცხებისა და რევოლიუციის შორის?

1) ის,—რომ სამხედრო „კატასტროფაში“ უცხო და საკუთარ სახელმწიფოს ძალები ერთიმეორეს უპირდაპირდება. ხოლო რევოლიუციაში კი—ერთისა და იმავე სახელმწიფოს კლასები. პირველი არის უძლიერესთა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული ბრძოლა, ხოლო მეორე—პროლეტარული „სამოქალაქო ომი“.

2) ის—რომ სამხედრო „კატასტროფით“ ყველაზე მეტათ და პირდაპირ ზარალობს ნაციონალური ბურჟუაზია. რევოლიუციით კი ყველაზე მეტს იგებს პროლეტარიატი; თუმცა ორივე შემთხვევაში ზარალი და მოგება საერთო და საერთოა.

3) ის—რომ სამხედრო „კატასტროფის“ მთავარი მიზეზი, ე. ი. ომიანობა, ომი ბურჟუაზიისთვის ერთად ერთი გზა და საშუალებაა და მისი ბრძოლის მეთოდიც აქედან გამომდინარეობს, მაშინ როდესაც პროლეტარიატის მხრივ იგი ზიზღსა და გმობას იწვევს.

რევოლიუცია კი, ამის წინააღმდეგი გზა და საშუალებაა მუშათა კლასის, საზოგადოთ დემოკრატიის. და მისი ბრძოლის მეთოდიც ამით განისაზღვრება, რაც ბურჟუაზიის მხრით შიშსა და გმობას იწვევს.

აქედან ბურჟუაზიის ბრძოლის მეთოდი და საშუალება შესაფერია ბურჟუაზიის ინტერესებისა და საწინააღმდეგოა პროლეტარიატის მისწრაფებისა. მეორე მხრით პროლეტარიატის ბრძოლის მეთოდი და საშუალება აშინებს და აფრთხობს ბურჟუაზიას. მაშ როგორღა შეიძლება ამ ორი კლასის ერთ ისტორიულ ჭდეში შებმა?

როგორ მოხერხდება, რომ ამ მოპირდაპირე კლასებმა ერთი ისტორიულ—ნაციონალური მისია ერთად შეასრულონ, ერთად იკისრონ ცხოვრებაში მისი განხორციელება?!

მე ვამბობ, რომ ეს შეუძლებელია, ანი კი ეს შესაძლებლათ მიაჩნია. ეს ერთი; მეორე—ანი ფიქრობს, რომ რუსეთის ისტორიის მიერ დღეს წამოყენებულ „პრობლემას“, ე. ი. „საზოგადოებრივ იმ კვანძს“, რომელსაც მისივე სიტყვით „გაჭრა“ სჭირია და არა „გახსნა“, შეასრულებს „მესამე ბლოკი“, ე. ი. მებრძოლი დემოკრატია ამ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს და „იცნობს დღევანდელი ბრძოლის იდეოლოგიას, ქვეყნის ახალი ძალით დაცვის საჭიროებას“.

ხოლო მე ვამბობ: ეს იდეოლოგია არის იდეოლოგია დღევანდელი ომის და შეიცავს საერთო ბურჟუაზიულ ლოზუნგს: „ომი ბოლომდის“. ერთი სიტყვით ეს იდეოლოგია არის ბურჟუაზიის იდეოლოგია, რაც ძირიანათ ეწინააღმდეგება პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს. ამიტომ ამის საწინააღმდეგოთ პროლეტარიატი ერისა და კაცობრიობის საბედნიეროთ ჰქონის საკუთარ იდეოლოგიას და დღევანდელ მომენტში იძლევა ლოზუნგს:

დასელი.

ნადიმი კ. ბალმონტის პატივსაცემლად.

გაზეთ „მეგობარი“ ასე აგვიწერს კ. ბალმონტის პატივსაცემლად გამართულ ბანკეტს.

გუშინ, 7 ოქტომბერს, ადგილობრივმა ინტელიგენციამ მგოსანს გაუმართა ნადიმი. ნადიმს 150 კაცამდი დაესწრო. სუფრა საგანგებოთ იყო მოწყობილი. კ. ბალმონტის სკამის პირდაპირ ყანწებისაგან შეკრული იყო თაღი. სუფრას თაიგულები ამშვენებდა. მეთერთმეტე საათზე მოვიდა კ. ბალმონტი, რომელსაც კლუბის შესავალში მასპინძლები დუდუკით შეხვდენ. ნადიმის თავჯდომარეთ აირჩიეს ქ. მოურ. ი. ჩიქოვანი, რომელმაც მოკლე, შინაარსიანი სიტყვით მიმართა მგოსანს და დალია მისი სადღეგრძელო. შემდეგ ერთხმათ თამადათ აირჩიეს ბ. კიტა აბაშიძე.

ბ. აბაშიძემ საუცხოვო, ლამაზი სიტყვით მიმართა ბალმონტს. დაახასიათა მისი შემოქმედება, აღნიშნა ის, თუ რათაც სცემენ მას დღეს ქართველები ასეთ მხურვალე პატივს, რათ უყვართ დღეს იგი ქართველებს. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ დაიწყო საერთო მილოცვები. წაიკითხეს საკუთარი ლექსები თაქთაქიშვილის ასულმა, პ. იაშვილმა წაიკითხა თავისი სონეტი, თავ. გ. დიასამიძემ ავტორის თხოვნით წაიკითხა ბ. გაფრინდაშვილის სონეტი რუსულ ენაზე, რომელიც ძლიერ მოეწონა ბ. ბალმონტს მშვენიერი ლექსით მიმართა ქართულ ენაზე მგოსანმა ვ. რუხაძემ. რაც დრო მიდიოდა დამსწრეთ თანდათან მხიარულება იცავდა და სიტყვებიც გახშირდა. რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა ფიალკოვსკიმ. ილაპარაკა აგრეთვე ბ. ია ეკალაძემ.

ყოველ სიტყვას ბ. ბალმონტი ან რეპლიკით ან სიტყვითვე უპასუხებდა. ბ. კიტა აბაშიძის სიტყვის საპასუხო სიტყვა ბალმონტმა ასე დაასრულა; За грузію страну волшебнаго пѣснопѣнія, я поднимаю свой бокалъ.

სიცილს, მხიარულობას, საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა ხანდახან ზოგიერთი სიტყვა [illegible] ხუმრობაც იბადებოდა.

ნადიმზე უკრავდა საზანდარი და დუდუკი. კნ. ჩიქოვანისამ და გ. გაბაშვილმა ცეკვით და მოსიმღერეებმა ხმა შეწყობილი სიმღერით დაატკბეს მგოსანი.

ნადიმზე წარმოთქმული სიტყვები დაიბეჭდება შემდეგ. *)

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

გორის ეპისკოპოსი ანტონი. გუშინ დილით ყოვლად სამღვდელო ანტონი თფილისიდან ქუთაისში ჩამობრძანდა. ყოვლად სამღვდელო სოფელ ზედა ქვიტირს გაემგზავრა, სადაც დღეს მწირველი იქნება, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში.

✦ გუშინ საღამოს სასტუმრო „ფრანციაში“ რუსის მგოსანი ბალმონტი ინახულა ბ. იონა მეუნარგიამ. ბალმონტმა მას წაუკითხა თავისი ნათარგმნიდან „ვეფხის ტყაოსნის“ შესავალი. შემდეგ ბალმონტმა სთხოვა მეუნარგიას წაეკითხა მისთვის ქართულად წერილი თინათინისა: მეუნარგიამ გადასცა. მას მის მიერ ფრანგულად ნათარგმნი სრული „ვეფხვის-ტყაოსანი“ ამ ძღვენმა ბალმონტი ძალიან გაახარა.

✦ ქალაქის თეატრში, დღეს, 10 ოქტომბერს, „ქართული დრამის“ ამხანაგობის მიერ გაიმართება იაფ—ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება შილლერის კლასიკური ტრაგედია „ყაჩაღები“ 5 მოქმედებით უმთავრესი როლები ასე განაწილებულია:—მარო მდივანი—„ამალია“ ბარველი-„პეტერ“, გვარაძე-„შვეიცერ“, ზარდალიშვილი—„ფრანცმოორ“, კორიშელი—„მაქსიმილიან მოორ“, მურუსიძე—„შპიგელბერგ“, ყალაბეგიშვილი „კარლოს მოორ“.

✦ რამდენიმე ვაჭრის თხოვნით, ქ. გამგეობა დეპეშით შეეკითხა როგორ ფასობს შეშა, ფოთში, ნატანებში ლანჩხუთში, სუფსასა და ქვალონში.

✦ ქუთაისის ვაჭრებმა მ. ნ. რუხაძემ გ. ა. ზაზაძემ ე. გ. ეფრემიშვილმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას, რათა მათი ხარჯით შეიტყონ თევზის ფასი ალაგობრივ და მოუმატონ ფუთზე [illegible] კაპიკამდი.

✦ ქუთაისის გუბერნიის სამართველო ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ 1914—1915 წლებში გან ქალაქს არ შეუტანია სახაზინო პალატაში სხვა და სხვა სავაჭროების პატენტზე გადასახადი. ამიტომ საჩქაროთ სთხოვს წარუდგინოს, რომელ მოსამსახურეს ედება ბრალათ ეს დანაშაულობა.

✦ ამ დღეებში ქუთაისში მოელიან კავკასიის კომერციულ სასწავლებლების უფროსს ვერხოვსკის.

✦ ქუთაისის 8 კლასიან კომერციული სასწავლებლის კურთხევა მოხდება კვირას, 11 ოქტომბერს.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში აშენებენ კავკასიის საარეშუმო სადგურის განყოფილებას, რომელიც დიდათ ხელს შეუწყობს დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმობას.

✦ 6 ეკენისთვეს დ. ოზურგეთში ადგილობრივ თეატრში წარმოადგინეს ვ. გუნიას ცნობილი დრამა „და ძმა“. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა.

✦ ქუთაისის წვრილ ხელოსანთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის ვაჭართა საურთიერთო საზოგადოების ბანკის წინაშე, რათა გაუხსნას მას 20000 მან. კრედიტი.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლი თ-დ. დავით ო. ნიჟარაძე გაემგზავრა აჭარას სამსახურის გამო.

✦ თბილისის სამოსამართლო პალატამ დაამთავრა სისხლის სამართლის საქმეების გარჩევა და გუშინ თბილისში დაბრუნდა.

✦ ქუთაისის მეურნეთა და მეღვინეთა კომიტეტმა მის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა შეიძინოს საჭირო შაბიამანი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა კამერ იუნკერმა პოტულოვმა ფოთის ქალაქის თავის თანამდებობაზე არ დაამტკიცა ბ-ნი ტყემალაძე და წინადადება მისცა ხმოსნ-[illegible] თავისათვის ღირსეული კაცი.

✦ ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში, დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნა ვიქ. რიშკოვის ცნობილი 4 მოქ. პიესა „სახელმწიფო სადგომი.“ საზოგადოება ცოტა დაესწრო.

✦ ქუთაისის გუბერნიის სამართველო ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ სახაზინო პალატა შეუთანხმდა გუბერნატორს, მიეცეს ქუთაისის პოლიცმეისტერს კრედიტი 64 სტ. 1 ლიტ. ბ. ხარჯთაღრიცხვა შინაგან საქმეთა სამინისტროსი 1915 წ. 9517 მ. 50 კ. ქუთაისის პოლიციელების გასამრავლებლათ და მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

✦ ქალაქში ხურდა ფულის ნაკლებობის გამო, ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის.

✦ ქუთაისში შაქარი კვლავ აღარ იშოვება. ხალხი ვისაც აქვს, მისთვის არავითარი ნიხრი არ არსებობს.

— **ავაზაკობა** 7 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ავაზაკებმა გასტეხეს და გაცარცვეს გ. ჩარკვიანის სახლი. ბოროტმოქმედებმა სხვათა შორის წაიღეს სანადირო თოფი; პოლიციამ ეს თოფი ვიღაც სალდათს უნახა რომელიც დაატუსაღეს და საპოლიციო უბანში წაიყვანეს.

✦ კვირას, 11 ოქტომბერს, ქუთაისის ქალაქის ქალთა სასწავლებლის დარბაზში მოხდება, ქუთაისის მომღერალთა საზოგადოების საზოგადო კრება.

✦ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს დანიშნული აქვს საჯარო ვაჭრობა იმ ადგილებზე, რომლებსაც 1916 წელს გაუვა ვადა. იჯარით გაიცემა ადგილები სამი წლით.

✦ საჩხერის მედუქნეების თავხასეულობას, საზღვარი არ აქვს, ყოველივე სანოვაგეს ორ ზომა ფასებში ყიდიან საჭიროა ვისიც ჯერ არს ყურადღება მიაქციოს.

✦ ს. ხიდისთავი როგორც გვწერენ მომხმარებელი საზოგადოების წესდების პროექტი უკვე დაამტკიცეს და ერთ დღეს ორმოცამდე მწევრი ჩაეწერა.

---

*) ამ ბანკეტზე დიდათ საყურადღებო სიტყვით მიმართა მგოსანს სტ. ნ. ჯორჯიკიამაც. ეს სიტყვა ითარგმნება და ამ დღეებში დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში რედ.

გაკვრით.

დღე ისე არ გავა, რომ ადგილობრივმა რუსულმა გაზეთმა, რაიმე ჭორი არ გამოიგონოს და თავის მკითხველებს უცნაური ამბებით არ გაუმასპინძლდეს. ეს რასაკვირველია მისი საქმეა, მაგრამ ჭორი და ცილისწამება გამოდგა; ამ გაზეთის გუშინწინდელ ნუმერში დაბეჭდილი ღია წერილიც ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორისადმი, სადაც ასე წინ დაუხედავათ იყო გალანძღული ამავე სასწავლებლის ყველა მოწაფენი,—ვითომ უწესოდ იქცეოდენ და გამვლელ გამომვლელს ურტყამდენ.

გუშინ ჩვენთან მოვიდა ვიღაც უ—ძე, ერთ-ერთი აქაური სასწავლებლიდან დათხოვნილი ყმაწვილი კაცი და გამოგვიცხადა რომ რეალურ სასწავლებლის წინ მე და ჩემ ამხანაგებს მოგვივიდა უსიამოვნება რუსულ გაზეთის თანამშრომელთა, და აქ რეალურ სასწავლებლის მოწაფეები არაფერს შუაშიაო.

ეს ყმაწვილი და მისი ამომჩენი რეალურ სასწავლებლის მოწაფეები ჩვენ გავგზავნეთ აქაურ რუსულ გაზეთის რედაქციაში, რომ ამ რედაქციამ ბოდიში მოიხადოს როგორც უფროსებისა, ისე რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა წინაშე—უსამართლო შეურაცყოფისათვის.

ი. ცინცაძე.

მუშათა ცხოვრებიდან.

ცხოვრება ძლიერ გაძვირდა. ყველაფერის ფასები უზომოთ გადიდდა. ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის.

მართალია მუშები არასოდეს არა ყოფილან კარგ მდგომარეობაში, მაგრამ დღეს მთლათ შევიწროებულნი და ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი.

ბევრი რამ არის ამისი მიზეზები, მაგრამ ერთი ყველასათვის ნათელია: ომიანობამ სასტიკათ შეავიწროვა ყველა და უკიდურესად კი მუშა ხელი.

თუ წინათ, დღეში 80 კ. ან ერთ მანეთს იღებდენ, სამაგიეროთ სანოვაგის იაფობაც იყო და რის ვაი-ვაგლახით თავი გაჰქონდათ. დღეს კი მათი ფიზიკური ძალის ღირებულება, იგივე დარჩა [illegible] სამად გაძვირდა.

მაგალითად მოვიყვან ქუთაისის სტამბებში მომუშავეთა მდგომარეობის შესახებ ნამდვილ უტყუარ ფაქტს.

დღეს-დღეობით ქუთაისში გამოდის შემდეგი ჟურნალ—გაზეთები:

გაზ. „სამშობლო“, გაზეთი „მეგობარი“ გაზეთი „კუტაისკ. ვესტი“, ჟურნალი „განთიადი“, „შინაური საქმე“ და „სასოფლო გაზეთი“.

მკითხველის საყურადღებოთ ვიცოდეს, თუ რამდენი მუშა ხელია საჭირო, საშუალო და მცოდნე პირებისა. „სამშობლოზე“ საჭიროა 8 ამწყობი და 1 მეტრამპაჟი, დღიურია. „მეგობარზე“—8 ამწყობი და 1 მეტრ. დღიურია. „კუტ. ვესტზე“—8 ამწ. და 1 მეტრ., დღიურია. ჟურნ. განთიადზე—2 კ. (თვეში ორჯერ გამოდის.) 32 გვ., შინ. საქმ. 1 კ. კვირ. ერთხელ. 8 გვ.

ფურცლის დღიური ახლა არის 13—14 მ. (ცილინდრით) კი უნდა იყოს დღეს 16 მ.

ჟურნალი განთიადის (32 გვერდი ღირდა—25 მ. კი უნდა იყოს 32 მ. შინაური საქმ. გვერდი ღირდა—80 კ. ახლა უნდა ღირდეს—ერთი მანათი მაინც გვერდი. ეს ფასებიც თითქმის სუსტი ფასებია, მაგრამ მე მინდა ცნობისმოყვარე მკითხველს უთხრა გულ-ახდილათ რომ ჩვენთვის დღეს კუს ნაბიჯით იწევა ფასები და სხვისთვის კი ჩქარ-ჩქარა. მაშინ როცა ჩვენი ხელობა საშინლათ სწამლავს ადამიანის ჯანმრთელობას და უდროვოთ ასალმებს წუთისოფელს. ამის მიზეზი ისევ მუშები ვართ. მხოლოდ უფრო მეტათ კი დამნაშავენი არიან თვით სტამბის მეპატრონეები, რომელთაც სტამბის შეძენის შემდეგ ერთხელ არ უფიქრნიათ დააწესონ შემუშავებული ფასები და თითონაც ირგონ და მათთან მომუშავეებმაც, მაგრამ მესტამბეები რათ აიტკიებენ თავს, როდესაც თვის პირადი საქმე იოლათ გამოაქვთ.

რომელ სტამბაშიც უნდა შეიხედოთ, გავსებულია პატარა-ბალღებით და მათი წყალობით მესტამბეები ასე თუ ისე იოლათ გამოდიან. სამაგიეროთ ეს ბავშვები ვერაფერს ვეღარ სწავლობენ გარდა იმისა, რომ შეისწავლიან ხოლმე მხოლოდ გაზეთზე მუშაობას და ისიც უვარგისად:

გაზეთზედაც აუცილებელი საჭიროა ამწყობმა სავსებით იცოდეს გადატანის წესები, ასოების გარჩევა, შენიშვნის ადგილი, ხაზგასმული სიტყვიერის გარჩევა, ცოტაოდენი ფრანგული რუსული ასოების აწყობა და აგრეთვე უნდა განვითარებული ჰქონდეს გემოვნება სილამაზისა და წესი ლექსების აწყობისა.

ყველა ეს, უნდა მართალი გითხრათ, ძლიერ სუსტათ ესმით იმათ, ვინც დღეს წარმოადგენს გაზეთების შტატს, ანუ შემადგენლობას. 8 კაცში არის ხოლმე ორი, ან ერთი, რომლებიც მეთაურობენ უცოდინარ ბალღებს და ვითომ საშვალებას აძლევენ მდგომარეობის გაუმჯობესობისას.

დიდათ მაზარალებელია ასეთი უკონტროლო ექსპლოატაცია ბავშვებისა. მით უმეტეს, რომ სრული თვითნებობა სუფევს ბავშვების მიღება-გაშვებაში. ხშირათ არც კი გკითხებიან ხოლმე გვარს და სახელსაც, ისე სიხარულით იღებენ. ამ ბავშვებს. ღვთის ანაბარად შემოიყვანებენ ხოლმე და თავის შეხედულებით ანვითარებენ ხელობაში. ერთი სიტყვით სრული უწესოება და თვითნებობა არის გამეფებული ქუთაისის სტამბებში.

ვიმეორებ, აუცილებლად საჭიროა არჩეული იქნას პირები მცოდნე ხელოსნთაგან და მათ მიენდოს გაწესრიგება როგორც ადგილებისა, აგრეთვე შეგირდების მიღება-გაშვებაშიაც.

ყოველივე ხელობაში მცოდნენი და უცოდინარნი ირჩევიან ჯამაგირებითაც, მორიდებითაც და ზრდილობითაც, მაგრამ სტამბაში მომუშავეთა უმრავლესობა ამაებზე ძლიერ მწყრალათ არიან.

სიტყვით ყველა საქმის მცოდნე გამოდის, მაგრამ საქმით კი ბევრი უცოდინარი და უხეში რჩება. ბევრი რასაც ამბობს იმის წინააღმდეგს აკეთებს.

სიტყვით გმობენ ზედმეტ მუშაობას, საქმით კი არ ასრულებენ, სიტყვით სწამთ დისციპლინა, საქმით კი—არა, სიტყვით ჯერდებიან ერთ თავს საქმეს, მაგრამ ხშირათ კი ორს საქმეს ებღაუჭებიან და ერთმანეთს ხელს უშლიან.

საჭიროა მეთქი ვამბობ ჩვენ შორისაც დუღდეს რამე—წესი და ადათი*).

„ის“.

თეატრი.

„სახელმწიფო სადგომი“ პიესა 4 მ. ვიქ. რიშკოვისა. ხუთშაბათის წარმოდგენა ანსამბლისა და ცალკე აღმსრულებელთა თამაშის მხრივ, საუკეთესოთ უნდა ჩაითვალოს. მოთამაშეთა შორის როლები კარგად იყო განაწილებული. აშკარათ ემჩნეოდა პიესას რეჟისორის ხელი. ცალკე აღმსრულებელთაგან უნდა აღვნიშნოთ შ. დადიანისა და ნ. გვარაძის თამაშში. დანარჩენი პასუხსაგები როლები ელ. ანდრონიკაშვილისაგან, მ. მღივნისაგან, ხარდაშვილისა და კორიშელისგან იქნენ აღსრულებული.

ამ საღამოს მათმა თამაშმა დამარწმუნა, რომ ჩვენ დასს კარგი თამაში შეუძლიან, თუ პიესების არჩევანში უნარს გამოიჩენს. ამ მხრივ, რიშკოვის პიესის ჩვენს სცენაზედ დადგმა მე აუცილებლათ არ მიმაჩნია. რიშკოვის პიესა თუმცა ახალი ნაწარმოებია, მაგრამ ფორმულა შიგ ძველია. დეპარტამენტის ჩინოვნიკები, დიდი და პატარა დერჟიმორდები, ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო სადგომში სცხოვრობენ და მათი მსგავსი არსებანი—ეს რუსულ ყოფის ტიპები არიან, რომლებიც ქართველ მაყურებელს არაფერს არ ეუბნებიან. ჩვენმა დასმა ამისთანა პიესებზე ხელი უნდა აიღოს და უფრო მხატვრულ რეპერტუარს მიაქციოს ყურადღება, მით უმეტეს, ვიმეორებ კიდევ, რომ ჩვენ დასს თამაში შესძლებია.

ცხადია, ასეთი პიესის დადგმით აიხსნება ის, რომ წარმოდგენას ხალხი შედარებით ნაკლებ დაესწრო. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ განზრახული რეპერტუარი, რომელშიც მრავალი საინტერესო პიესა შედის და ჩვენი დასის კარგი თამაში, ბევრს მაყურებელს მიიზიდავს თეატრში.

—ნი.

პროვინციის ცხოვრება.

დ. სამტრედია. არ ვიცით, რა უწოდოთ ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ბედმა აქ დარჩენა არგუნა, რომელნიც იმის მაგიერ, რომ დახმარება გაუწიონ უმუშევრათ დარჩენილ ღატაკ ჯოჯახებს, სულ წინააღმდეგს სჩადიან, გარდა მცირედი გამონაკლისისა. ამ მცირედმა ნაწილმა ძლიან უნარი გამოიჩინა საზოგადოებრივ საქმიანობაში და ყოველგვარ ღონეს ღონობენ, როგორმე დაიხსნან საწყალი ხალხი უკიდურეს მდგომარეობისაგან. მათ დააარსეს კოოპერატიული ფურნე, რომელსაც ხუთასზე მეტი წევრი ყავს და მით უზრუნველყვეს ხალხი შიმშილისაგან და აწიც ცდილობენ—რაიმე სახსარი აღმოუჩინონ მათ. მეორე უფრო მეტი ნაწილი, რომლების რიცხვსაც შეადგენენ უმეტესათ ვაჭრები, მათი შვილები, მასწავლებლები და ექიმები, ხალხისთვის გულშემატკივრობას არ იჩენენ. მათი მოქმედებიდან კაცმა შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გამოიყვანოს: „ჩემი კუჭი მქონდეს მაძღარი და სხვა ყველა მეწყერს წაუღიაო“.

სამი წელიწადია, რაც აქ დააარსეს კლუბი, სადაც ყოველღამ საოჯახო საღამოებია და იქ ირთობენ თავს კარტ-ნარდის თამაშით. (აქ ორი კლუბია: ერთი რკინის გზის და მეორე—სამტრ. ვაჭრების). ამას წინათ მოულოდნელათ დაესხა თავს ბოქაული და შიგ მოთამაშენი დაატყვევა. საქმე სასამართლოშია გადაცემული და ვნახოთ როგორ წავა: საქმე—დაკეტს კლუბს ადმინისტრაცია, თუ კვლავ საქმე შინაურულათ მიფუჩეჩდება, მხოლოდ ერთი რამ კი ცხადია,—ასეთი პირებისაგან მშრომელი ხალხი არაფერს არ გამოელის, რადგან ხალხთან კავშირი მათ კარგა ხანია გასწყვიტეს.

კვირას, 27 სექტემბერს, აქაურ საზოგადო საკრებულოში წაიკითხა ლექცია სტ. ილ. ხაინდრავამ ომზე. ლექცია შინაარსიანი იყო და ხალხიც ბლომათ დაესწრო. ლექციის შემდეგ გაიმართა კონცერტი—დ. შანიძის ლოტბარობით. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა...

ეს ერთი ხანია შესამჩნევათ აცივდა. დრო გამოშვებით წვიმს. ხან ქარია, რაც ძალს უშლის ხალხს პირნახულის შეგროვებაზე. ყურძენი ნაკლებათ შემოდის სამტრედიის ბაზარზე.

„ნოსმახ“.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო*).

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზ. „სამშობლოს“ მახლობელ ნუმერში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

თქვენი გაზეთის № 194, მოთავსებული წერილი „ქუთაურ სტამბების მუშათა ცხოვრებიდან“ ვიღაც „Аврора“-სი, რომელიც ეხება ადგილობრივ სტამბებში მომუშავე მუშების ცხოვრებას, ავტორს ნათქვამის დასამტკიცებლათ სხვათა შორის მოყავს მაგალითი თითქოს მე ვმუშაობდე „კუტაისკაია ვესტზე“ ამავე დროს ავიღე ასაწყობათ ჟურ. „სას. გაზ.“ მივისაკუთრე ერთსა და იმავე დროს ეს ორი ადგილი, და ეს იმ დროს, როდესაც ვითომც უმუშევრები, ქუთაისში ულუკმა-პუროთ დაეხეტებოდეს ქუჩებში და სხვ. (იხ. სამშობლო № 194).

მე არავითარი სურვილი არ მაქვს პოლემიკა გავმართო ისეთი ვიგინდარა-ჭორიკანასთან, როგორიც ბრძანდება ბ. „Аврора“, მაგრამ რომ მართლაც მკითხველ საზოგადოებას და განსაკუთრებით ამხანაგ მუშებს, რომლებიც კარგათ მიცნობენ და რომლებთანაც არავითარი უნდობლობა და უნამუსობა არ დამიმსახურებია ჩემს სიცოცხლეში, ჩემზე ეჭვები არ შეეპაროს, იძულებული ვარ განვმარტო შემდეგი:

მართალია, მე ვმუშაობ „კუტაისკაია ვესტზე“, მაგრამ მტკნარი სიცრუეა თითქოს მე ორი ადგილი დამებანდებინოს და უმუშევარ ამხანაგებს ყურადღებას არ ვაქცევდე. ამას წინათ შემხვდა ა. კოხრეიძე და მთხოვა ამეწყო „სასოფ. გაზ.“, რადგან ასოთ ამწყობი არ იშოვებოდა აქ მე მთლად აწყობა ვერ ვკისრე და აღუთქვი მიხმარება რამდენსამე დრო მექნებოდა. ჩემი დაპირება ავასრულე კიდეც მოვეხმარე და ავაწყობინე „სასოფლო გაზეთის“ მე-15 ნუმერი. მეორე, ქუთაისში უმუშევარი ამწყობი ამ დროებით არ მოიპოვება, არ მუშაობს მხოლოდ, ერთი ასოთ ამწყობი დ. დ-ძე და არც არსად მინახავს სამუშაოს საძებრათ და თუ დ. დ—ძე უმუშევარია, მას იმდენი გამბედაობა, შეგნება და მოქალაქეობა კი აქვს, რომ მოსულიყო ჩემთან და ეთქვა: შენ ორი ადგილი გაქვს და ერთ—ერთი მე დამითმეო და თუ მე უარს ვეტყოდი სამარცხვინო ბოძზე შემდეგ უნდა გავეკარი „კორესპონდენტს“. ჩემი აზრით, დასაგმობი მაშინ არის ზედმეტი მუშაობა, როდესაც ქუჩაში უმუშევარია, სამუშაოს ითხოვენ, არ აძლევ და შენ კი მეტს მუშაობ, ასეთი საქციელი მუშისა მე ბევრჯერ დამიგმია და დავგმობ კიდეც. მე შეგნებულ მუშას, შეგნებული გამოსვლა მოქმედება ისე დამიგმია, როგორც ექსპლოატატორის ხაზეინის გამოსვლები მუშის წინააღმდეგ. ასე მოვიქცევი აწიც. სრულიად დარწმუნებული ვარ ჭორიკანა კორესპონდენტის უბადრუკ ცილის წამება ჩირქს ვერ მომცხებს ამხანაგების თვალში.

როდესაც აღ. კოხრეიძეს მახმარება დავპირდი ჟურნალზე, სხვათა შორის, ვკითხე: რატომ დ. დ—ძეს არ მიმართე მოსახმარებლათ მეთქი—მის პასუხს არ დაეცადა ასოთ ამწ. ვ. ჯ.—ძემ და სთქვა: დათიკოს ჩვენც ვაძლევდით საქმეს, მაგრამ მას არ უმუშავნიაო. იმედია, ამას დაამოწმებს აღ. კოხრეიძე ვსთქვათ, რომ მე ავიღე „სასოფლო გაზეთიც“ ასაწყობათ, როდესაც ქალაქში უმუშევარი არ არის, მე წვრილი ოჯახის პატრონს ფიზიკურათ მუშაობა შემაძლია, ჩემი შრომით ვცდილობ ოჯახის გამოკვებას, აქ რა არის დასაგმობი?

რომ გაზ. „სამშობლოში“ მოთავსებული კორესპონდენცია პირად ინტერესებზე არ იყოს აგებული, და ის ეკუთნოდეს ერთ-ერთ ქართულ შეგნებულ მოწინავე ასოთ-ამწყობს, მე ენასაც არ ამოვიღებდი. ამ წერილის ავტორი ის ვაჟბატონი ბრძანდება, რომელსაც [illegible] მეუღლისათვის არა ერთხელ უნახავს ციხის კარები და „ეტაპი“, ეს ვაჟბატონი ბრძანდება ერთი იმ პირთაგანი, რომლის საქციელიც ოდესმე საქვეყნოთ დაგმობილი იქნა, როგორც საამხანაგო სუდიდან, ისე მოწინავე მუშებიდან; და აღბათ ამასვე ეკუთვნის „სამშობლოში“ ასოთ ამწყობის მიერ მოთავსებული შენიშვნაც რომელიც მაყიანებს თითქოს ჩემს თვალში დირეს ვერ ვხედავდე და სხვის თვალში ბეწვი არ შემპარებოდეს.

დაბოლოს რომ ბევრი არ გილაპარაკოთ, ვიწვევ ბ-ნ Аврора“-ს სამედიატორო სამართალში, წინადადებას ვაძლევ დამიმტკიცოს:

1) მართლაც ორი საქმე მქონდა მე [illegible] იმ დროს, როდესაც ქუთაისში უმუშევრები არიან, თუ მტკნარი სიცრუეა [illegible]

2) ვიღაცა შემთხვევ[illegible] რომ მე სხვისი სამუშაო მივისაკუთრებით ან უმუშევარ ამხანაგებისთვის ანგარიში არ გამეწიოს? 3) რაში გამოიხატება ჩემი ზნეობრივათ დაცემა 4) რაში გამოიხატება ჩემ მიერ ნადენილი მიუტევებელი ცოდვა? 5) რომელ უმუშევარ ამხანაგს წავართვი ლუკმა პური, და სხვა.

ჩემი მხრით მედიატორებათ ვასახელებ ასოთ ამწყობ ჭიჭიკო ვაჩნაძეს და ვიქტორ ჯულაყიძეს, მოწმებათ კი ქართულ ყველა ასოთ ამწყობებს გაზ. „სამშობლოზე“ მომუშავეების გამოკლებით; დეე, ამათმა დამდონ მსჯავრი, გამასამართლონ და თუ დამნაშავეთ მიცნონ სამარცხვინო ბოძზე გამაკრან, პირში მაფურთხონ, მიწასთან გამასწორონ, მე კმაყოფილებით მივიღებ მათ სამართლიან საჯელს. წინადადებას ვაძლევ ბ-ნ „Аврора“-ს სამი დღის განმავლობაში დაასახელოს თავისი მედიატორები, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ შესაფერი სახელი ვუწოდო.

ას.-ამწ. ტრ. სალაია.

ბ. რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთ 11 სექტემბრის ნუმერში სხვათა შორის იყო მოთავსებული წერილი „მარტვილის სასწავლებელზე ვიღაც „დუდესასი“. თუ რამდენათ სამართლიანია ის წერილი, ამაზე მსჯავრის დადება მიმინდვია საზოგადოებისთვის. მხოლოდ მე ჩემის მხრით ვსთხოვ რედაქციას დამიმოწმოს, რომ მე არავარ ამ წერილის ავტორი. ვინაიდან ჩემი მტრები ავრცელებენ ხმებს, თითქოს ის წერილი მეკუთვნოდეს მე და მით შინაურობაში უნდათ შემოიტანონ შუღლი და მტრობა*).

მარტვილის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის სამღთო სჯულის მასწავლებელი ბლ. მღ. **რაჟდენ ბალაგანიძე.**

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების

სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, და ბრუნდება საღამოობით. თ.

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბორინის ქ. ბაღახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, სად. 5—6 საათამდის. 12—10

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან,

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც მეტათ საყურადღებო საკითხს ეხება. იმედი გვაქვს რომ სხვებიც გამოსთქვამენ თავის აზრს. ჩვენსას კი შემდეგ ვიტყვით. რედ.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს სრულიად უცვლელად, როგორც ენის მხრივ ისე ზოგიერთ უხერხულ ადგილების გამოუტოვებლად. ასე ითხოვა თავის ავტორმა; რედ.

*) ვამოწმებთ, რომ ხსენებული წერილის ავტორი მამა რაჟდენ ბალაგანიძე არ არის, რედ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან